საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-247

ქ. თბილისი

13/03/2020

ქ. დედოფლისწყაროს მიმდებარე ტერიტორიაზე შპს „სსსკ სერპანტინის“ ასფალტის საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის, ამავე კოდექსის II დანართის მე-5 პუნქტის 5.3 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს ქ. დედოფლისწყაროს მიმდებარე ტერიტორიაზე შპს „სსსკ სერპანტინის“ ასფალტის საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნა N 20 (09.03.2020წ.);
2. შპს „სსსკ სერპანტინმა“ სავალდებულოა გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს სკოპინგის დასკვნის N20 (09.03.2020წ.) შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „სსსკ სერპანტინს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „სსსკ სერპანტინის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი